

## საქართველო

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი იაკობ  
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ს.ს.ი.პ - თესაუ თელავი,  
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1  
2200  
☎ +995 350 272401, ფაქსი: +995 350 273264  
E-mail: [rector@tesau.edu.ge](mailto:rector@tesau.edu.ge)



## GEORGIA

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE  
Legal Entity of Public Law  
Iakob Gogebashvili Telavi State University  
(LEPL – TESAU)  
1 Kartuli Universiteti Str.  
2200 Telavi, Georgia  
☎ (995 350) 27-24-01, fax: 27-32-64  
E-mail: [rector@tesau.edu.ge](mailto:rector@tesau.edu.ge)



MES 6 16 01544664

29/12/2016

სსიპ- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს  
ქ-ნ. ირმა შიოშვილს,  
ამავე უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს  
და წარმომადგენლობით საბჭოს

ამავე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის უფროსის შალვა ჭკადუას

### 2016 წლის წლიური ანგარიში

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სახელით, წარმოგიდგენთ 2016 წლის წლიურ ანგარიშს. მოგახსენებთ, რომ ფაკულტეტების ხარისხის სამსახურების უფროსებთან და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმატებით დაასრულა ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, ფაკულტეტების დეკანატებთან ერთად წარმატებით დაასრულა 2015-2016 წლის საგაზაფხულო სემესტრის მობილობის პროცესი. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულის ისტორიაში უნივერსიტეტში მობილობით ჩარიცხულ სტუდენტების რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მობილობით წამსვლელ სტუდენტთა რაოდენობას.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამებს, სამწუხაროდ გვინდა გაცნობოთ, რომ ჩვენს მიერ წარდგენილმა აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაცია ვერ გაიარა. მოგახსენებთ, რომ აღნიშნული პროგრამა გადამუშავდა და ხელმეორედ ვაპირებთ აკრედიტაციის საბჭოსთვის წარდგენას.

2016 წელს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების დიდი ძალისხმევით შედეგად შესაძლებელი გახდა აკრედიტაციის საბჭოსთვის წარგვედგინა სამართლისა და ეკონომიკის საბაკალავრო, ეკონომიკის სამაგისტრო, მათემატიკისა სადოქტორო პროგრამები, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტის რექტორს და მის კონსულტანტს ქალბატონ მაია გონაშვილს პროგრამების შემუშავებისა და აკრედიტაციის პროცესში გაწეული სამუშაოსათვის.

აღსანიშნავია, რომ 2015 -2016 სასწავლო წელს აკრედიტაცია გაიარა 9 სასწავლო პროგრამამ.  
აქედან:

1. 2 სადოქტორო;
2. 1 სამაგისტრო;
3. 2 საბაკალავრო;
4. 4 პროფესიული;

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს, პროგრამების ხელმძღვანელებს და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორებს პროგრამების აკრედიტაციის პროცესში გაწეული მუშაობისთვის.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყველა თანამშრომელს, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ სამსახურის გამართული ფუნქციონირებისათვის.

მადლობას გიხდით ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის,

პატივისცემით,

სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი / ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახური  
სამსახურის უფროსი  
ჭკადუა შალვა

